საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/37

ქ.თბილისი

"17" აგვისტო 2017 წ.

საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვაზე მონიტორინგის მიზნით მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 15 აგვისტოს N9 დადგენილებით დამტკიცებული „საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების წესის" მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის და მე-8 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვაზე მონიტორინგის მიზნით, კომისიის აპარატის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურების რეგულირების დეპარტამენტის უფროსის - ივანე მახარაძის ხელმძღვანელობით შეიქმნას მონიტორინგის ჯგუფი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში (შემდგომში - „კომისია") დასაქმებულ შემდეგ პირთაგან:

ა) მარიამ არუშიძე - აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურების რეგულირების დეპარტამენტის მონიტორინგის უზრუნველყოფის მთავარი სპეციალისტი;

ბ) კონსტანტინე ქორიძე - აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურების რეგულირების დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი;

გ) იოსებ ბაღაშვილი - აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურების რეგულირების დეპარტამენტის მონიტორინგის წამყვანი სპეციალისტი;

დ) ზურაბ კვირკველია - აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურების რეგულირების დეპარტამენტის მონიტორინგის წამყვანი სპეციალისტი;

ე) ლალი გვერდწითელი - აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურების რეგულირების დეპარტამენტის მონიტორინგის უზრუნველყოფის სპეციალისტი;

ვ) თამარ პოპიაშვილი - კომისიის თავმჯდომარის თანაშემწე;

ზ) თამარ ხახანაშვილი - კომისიის წევრის თანაშემწე;

თ) რუსუდან ჭაბუკიანი - კომისიის წევრის თანაშემწე;

ი) თეონა კიკნაძე - კომისიის წევრის თანაშემწე;

კ) ნათია მეზვრიშვილი - კომისიის წევრის თანაშემწე;

ლ) ალექსანდრე ღლონტი - ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი;
მ) თედო ყიფშიძე - ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის არასაშტატო სპეციალისტი;
ნ) ხატია ყურაშვილი - საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მედიასთან ურთიერთობის მთავარი სპეციალისტი.

2. უზრუნველყონ ამ ბრძანების პირველ პუნქტში აღნიშნულმა პირებმა, წინასაარჩევნო პერიოდში მედიის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესრულების მონიტორინგი კომისიის 2012 წლის 15 აგვისტოს N9 დადგენილებით დამტკიცებული „საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების წესის“ მე-8 მუხლის შესაბამისად;
3. მიენიჭოთ ამ ბრძანების პირველ პუნქტში აღნიშნულ პირებს: ივანე მახარაძეს, მარიამ არუშიძეს, კონსტანტინე ქორიძეს, იოსებ ბაღაშვილს, ზურაბ კვირკველიას და ლალი გვერდწითელს:
ა) „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ 36-ე მუხლის შესაბამისად შემოწმების აქტის შედგენის უფლებამოსილება,;
ბ) „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ 37-ე მუხლის შესაბამისად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლებამოსილება;
4. განისაზღვროს ამ ბრძანების პირველი პუნქტში აღნიშნულ პირების უფლებამოსილების ვადა 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დანიშვნის შესახებ შესაბამისის სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან არჩევნების საბოლოო შედეგების (მათ შორის საჭიროების შემთხვევაში მეორე ტურის შედეგების) შეჯამებამდე;
5. განესაზღვროს ამ ბრძანების პირველი პუნქტის ვ), ზ), თ), ი), კ) პუნქტებში აღნიშნულ პირებს წინამდებარე ბრძანების მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვადით, ყოველთვიური სახელფასო დანამატი 625.00 ლარის ოდენობით, საბიუჯეტო ანარიცხების ჩათვლით;
6. წინასაარჩევნო მონიტორინგის ანგარიშების მომზადება მოხდეს შემდეგი პერიოდულობით: პირველი ანგარიში - 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის დანიშვნის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან 2017 წლის 21 სექტემბრის ჩათვლით, მეორე ანგარიში - 2017 წლის 22 სექტემბრიდან 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების კენჭისყრის დღის ჩათვლით (მეორე ტურის დანიშვნის შემთხვევაში მომზადდეს დამატებითი ანგარიში);
7. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისი საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.,N6) ერთი თვის ვადაში.
9. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურების რეგულირების დეპარტამენტს (ი.მახარაძე);

კომისიის თავმჯდომარე კახი ბექაური